პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი. 30 სექტემბერი. 1989 წელი ● № 40 (2865). ● СУББОТА. 30 СЕНТЯБРЯ 1989 г.

ИДУТ ОТЧЕТЫ И ВЫБОРЫ

## ЗВАНИЕ КОМСОМОЛЬЦА ОБЯЗЫВАЕТ

**НА ДНЯХ** в Тетрицкаройском РОВД состоялось отчетно - выборное комсомольское собрание, в работе которого принял участие второй секретарь РК комсомола В. Бежанишвили.

С отчетным докладом выступил секретарь комсомольской организации РОВД старший лейтенант милиции Г. Надирадзе. Докладчик отметил, что именно сейчас, в процессе перестройки, предстоит тяжелая и ответственная работа по идеологическому воспитанию молодежи, осознанию каждым комсомольцем реальной ориентации линии партии и правительства. Выступившие в прениях: рядовой милиции Р. Чокури, капитан милиции П. Тамразов, лейтенант милиции Т. Ацшаури и заместитель начальника по политчасти майор милиции Р. Раминашвили отметили недостаточную работу комсомольской организации и призвали на личном примере руководителей РОВД повысить моральный и профессиональный уровень среди молодых сотрудников.

Секретарем комсомольской организации Тетрицкаройского РОВД избран инспектор профилактики ИГПН РОВД лейтенант внутренней службы В. Мурадян.



НА СНИМКЕ: грамоту молодому сотруднику, рядовому милиции Г. Чомахишвили вручает второй секретарь РК комсомола В. Бежанишвили.

## ახალგაზრდა თანამშრომლის დღეს მიეძღვნა

### შეხვედრა ალკკ საქალაქო კომიტეტში

**შინაგან** საქმეთა ტყიბულის საქალაქო განყოფილების კოლექტივში 14 ახალგაზრდა თანამშრომელია, რომელთა ხვედრითი წილი განყოფილების საქმიანობის საბოლოო შედეგებში მნიშვნელოვანია. სიმბოლური იყო ამ დღეებში კომკავშირის ტყიბულის საქალაქო კომიტეტში მილიციის 14 ახალგაზრდა მუშაკის მიღება, მათი წახალისება საპატიო დიპლომებით, სიგელებით და სამახსოვრო საჩუქრებით. რომელიც დაემთხვა ფ. ე. ძერჟინსკის დაბადების დღეს 11 — სექტემბერს.

ახალგაზრდა მუშაკთა შორის სამსახურებრივი დავალიებების პირნათლად შესრულებით განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გ. ბარბაქაძემ, ა. მახვილაძემ, დ. ცქიფურიშვილმა, მ. ფოფხაძემ და თ. თევზაძემ.

დაჯილდოებულებს მიესალმნენ კომკავშირის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ლევან სილაგავა და შინაგან საქმეთა ტყიბულის საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში მილიციის მაიორი ბადურ აბულაძე.

ახალგაზრდა მუშაკებმა კომკავშირის ტყიბულის საქალაქო კომიტეტში სიტყვით გამოსვლისას გამოხატეს შინაგან საქმეთა ტყიბულის საქალაქო განყოფილების კოლექტივის საერთო აზრი, იმის თაობაზე, რომ კვლავაც საჭიროა ფხიზლად ყოფნა, საზოგადოებრივი წესრიგის განუხრელი დაცვა. ყოველი არასასურველი გამოვლინების ძირშივე აღკვეთა.

ხ. დათუაძე.

ქ. ტყიბული

### ПРОДОЛЖЕНИЕ ДОБРОЙ ТРАДИЦИИ

**ОЖИВЛЕННАЯ** и праздничная атмосфера царила в органах и подразделениях внутренних дел Аджарской АССР в сентябрьские дни. Под руководством политического отдела МВД Аджарской АССР была развернута активная работа по достойной встрече 112-й годовщины со дня рождения Ф. Э. Дзержинского. В этот день, по традиции, во всех ГОРОВД и частях пожарной охраны были проведены многочисленные культурно-массовые и спортивные мероприятия, прошедшие под девизом «Молодым сотрудникам — особую заботу».

В Батумском ГОВД, Кобулетском и Хелвачаурском РОВД прошли конкурсы профессионального мастерства среди сотрудников ППС и ОВО, рейды по охране общественного порядка и встречи молодых сотрудников с несовершеннолетними, склонными к правонарушениям, отчеты молодых сотрудников в трудовых коллективах и др.

На торжественных собраниях, прошедших в честь Дня молодого сотрудника присутствовали заместитель министра внутренних дел Аджарии полковник Г. Ломтадзе, начальник политотдела министерства подполковник милиции И. Цулукидзе, были приглашены: депутат Верховного Совета СССР тов. А. Гогебашвили, представители ГК, РК КП Грузии, корреспонденты редакций местных газет и ветераны органов внутренних дел.

В День молодого сотрудника был организован вечер, посвященный проводам сотрудников органов внутренних дел полковника милиции Г. Мурванидзе, полковника внутренней службы А. Гоксадзе и майора милиции Н. Кебадзе на заслуженный отдых. Вечером в Приморском парке города состоялся концерт с участием самодеятельного духового оркестра и вокально - инструментального ансамбля МВД Аджарской АССР.

Т. ТАВДГИРИДЗЕ, капитан милиции, помощник начальника политотдела МВД Аджарской АССР.

ანგარიშს აბარებს ქუთაისის შს სამმართველოს უფროსი რ. თევზაძე

## სამართალი დღევანდელი გადასახედიდან



**წლევანდელი** წელი რომ დაძაბული იყო ჩვენი რესპუბლიკისათვის, უდაოა. თითქმის ოქტომბრიდან მოყოლებული სამართალდამცავი ორგანოები გამოეთიშნენ უშუალო სამსახურეობრივ საქმიანობას. ჯერ იყო მიტინგები, გაფიცვები, მერე 9 აპრილიც მოხდა, მას მოჰყვა ქვემო ქართლისა და აფხაზეთის ტრაგედია, ერთი სიტყვით ნორმალურად ძილი და მოსვენებაც არ იყო. განზე დარჩა ათასი გადაუჭრელი ამოცანები, მიუხედავად ამისა, ქუთაისის შს სამმართველომ კარგად გაართვა თავი საქმიანობაში არსებულ პრობლემებს. მათი ეს პოზიცია ნათლად წარმოჩნდა სამმართველოს უფროსის რ. თევზაძის ანგარიშში, რომლითაც ის წარსდგა პირადი შემადგენლობის წინაშე 23 სექტემბერს.

ხელმძღვანელზე ალბათ ბევრი რამაა დამოკიდებული, „როგორც მღვდელი, ერიც ისეთიო“ ტყუილად როდია ნათქვამი. დავიწყოთ იმით, რომ სამმართველოს უფროსი მისი ქალაქისა და კოლექტივის ცხოვრებით ცხოვრობს. რასაც მოწმობს მრავალი შეხვედრები შრომით კოლექტივებთან, ახალგაზრდობასთან, მოსახლეობასთან, ნებისმიერი რანგის ადამიანებთან, პირად შემადგენლობასთან და თვით არაფორმალებთანაც კი.

ალბათ სხვანაირად შეუძლებელია იმ ნდობისა და სიმპატიის მოპოვება, რომელიც სამართალდამცავ ორგანოებს აქვთ ქუთაისში. ამაში დავრწმუნდი მაშინაც, როცა პირადად შევხვდი იმ შრომითი კოლექტივების რამოდენიმე წარმომადგენელს, სადაც სამმართველოს უფროსი სიტყვით გამოვიდა.

ადამიანებთან დამოკიდებულება, მათთან კონტაქტში შესვლა ერთი იმ აუცილებელ თვისებათაგანია, რომელიც ყველა პასუხისმგებელ მუშაკს უნდა ახასიათებდეს უპირველესად. სამმართველოს ეს პრობლემა დადებითად აქვს გადაჭრილი. აქ ადგილებზე ეწყობა შეხვედრები, კლებადაა კაბინეტომანია,

(დასასრული მე-3 გვ-ზე).

## „...ხამს მოყვარე მოყვრისათვის“...

**თითქმის მიწყნარდა აფხაზეთი. აღსდგა ნორმალური ცხოვრების რიტმი. სამეგრელოს რეგიონებშიც სიმშვიდეა. არ ჩანან ქუჩებში ჯგუფურად მოარული დემონსტრანტები, მაგრამ შს ორგანოებს მაინც რთული და დაძაბული დღეები აქვთ, რადგან გატაცებული იარაღი სრულად ჯერაც არ დაბრუნებია მის ადგილსამყოფელს. არის მორიგი დანაშაულის რეალური საფრთხე.**

**ჩვენში** ასეთი წესი არსებობს: როცა კანონი ირღვევა მაშინათვე მივმართავთ სამართალდამცავ ორგანოებს. მათგან მოველით ხსნასა და შველას. მათთან მაშინაც გავრბივართ, როცა პირადული და საერთო ეროვნული ტკივილიც გვაწუხებს. იქნებ ეს იყო იმის მიზეზი, რომ 16 ივლისს, როცა აფხაზეთში მომხდარი ტრაგედიის ექომ მთელს საქართველოს გადაუარა, მოძმეთა დასახმარებლად აზვირთებული ხალხი შს მილიციის განყოფილებებს მიაწყდა იარაღის სათხოვნელად, სადაც „თხოვნამ“ არ გაჭრა იქ ძალა იხმარეს... ხალხის მართვა ფაქტიურად შეუძლებელი გახდა.

წალენჯიხის რაიონი: დილის 12 საათისათვის რაიგანყოფილების შენობასთან თავი მოიყარა 2000-მდე კაცმა. სატვირთო ავტომანქანებზე ამხედრებულნი, უკიდურესად აგზნებულნი შეიარაღებული იყვნენ ძალაყინებით, დანებით, ნაჯახებით, ცეცხლმსროლელი იარაღით. მილიციის განყოფილების შენობა ალყაში მოექცა. 15 კაციანი პირადი შემადგენლობა ყოველ ღონეს ხმარობდა მშვიდობიანად ალეკვეთა უწესრიგობა, მაგრამ ხალხს არაფრის მოსმენა არ სურდა. მხოლოდ იარაღის ხელში ჩავდების სურვილი ამოძრავებდა მათ. არეულობა მალე შეტაკებაში გადაიზარდა. აღელვებულმა მასამ ძალის გამოყენებით შეანგრია რაიგანყოფილების შენობაში შესასვლელი კარები, ჩალეწეს ფანჯრები, მიუხედავად თანამშრომელთა ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლისა შეაღწიეს სადაც იარაღი ინახებოდა და დაეუფლნენ მას. (რბევის შედეგები აღბეჭდილია ვიდეოფირზე). ამ შეტაკებისას მილიციის 12 თანამშრომელმა მიიღო სხეულის განზრახ დაზიანება (მათ შორის მილიციის უფროსმა). დღის განმავლობაში 6-ჯერ განმეორდა რაიგანყოფილებაზე თავდასხმა. ბუნებრივია 2000 კაცს 15 მილიციის თანამშრომელი ვერაფერს დააკლებდა. ამაზე თქმულა „ძალა აღმართს ხნავსო“. მით უფრო, რომ როცა მოვლენები ასე განვითარდა განყოფილებას არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში აფხაზეთში. ინფორმაციის მიღება შეუძლებელი გახდა მას შემდეგაც, რაც წალენჯიხის შს რაიგანყოფილების უფროსი ს. ჯოჯუა სატელეფონო საშუალებით დაუკავშირდა თბილისსა და სოხუმს...

რაიგანყოფილებიდან გაიტაცეს ტაბელური იარაღი, 28 პისტოლეტი, 4 ავტომატი, 2 ტყვიამფრქვევი, 2 მცირეყალიბიანი შაშხანა. შემთხვევის მომენტიდან შექმნილია ოპერატიული ჯგუფი. სამართალდამცავ ორგანოებს გვერდში უდგანან პარტიული მუშაკები, საზოგადოების აქტივი, პირადად წალენჯიხის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ა. ჭანტურია, მან ჯერ კიდევ იმ არეულობის დროს შესძლო ემოციებს აყოლილი ხალხის დამოშმინება.

დღევანდელი მონაცემებით ოპერატიული ჯგუფის მიერ ამოღებულია 20 ერთეული ტაბელური იარაღი; 7 ცალი თოფი, 100 ცალამდე კაფსოლ დეტონატორი, 100 ცალამდე ტყვია-წამალი. ძირითადად იარაღი მოსახლეობამ ნებაყოფლობით ჩააბარა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დაკითხულია 100-ზე მეტი პირი, ჩატარებულია ტრასოლოგიური და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები. დადგენილია თავდასხმაში მონაწილე პირთა ვინაობა, მოქმედებს საგამოძიებო ოპერატიული ჯგუფი, აღძრულია ერთი სისხლის სამართლის საქმე. იარაღის ამოღების პროპაგანდას ეწევა ადგილობრივი ინფორმაციის საშუალებები.

ენგურჰესი — ანუ ჯვარი, როგორც აქაურები ეძახიან, თითქოს პატარა და მყუდრო დასახლებაა, ირგვლივ სვანეთის მთები, აქედან ორი ნაბიჯია მესტიამდე... იქნებ ეს იყო იმის მიზეზი, რომ შს განყოფილების წინ 16 ივლისს თავი მოიყარა 300-მდე ქალმა, რომელთა უმრავლესობას სვანები შეადგენდნენ. რაიმე ძალის გამოყენებაზე მცდელობაც კი წარმოუდგენელი იყო. მალე მანდილოსნებს მამაკაცებიც შეუერთდნენ. მდგომარეობა დაიძაბა. ამაოდ ცდილობდა შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე ოპერატიულ დარგში ც. გობეჩია ხალხის დამშვიდებას, ან რით უნდა დაეწყნარებინა ისინი, როცა რეალურ მდგომარეობაში თავადაც არ იყო გარკვეული. (სატელეფონო კონტაქტი არ არსებობდა) ინფორმაციის წყარო ფაქტიურად მოისპო. სწორედ იმ კრიტიკულ მომენტში, განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მილიციის ლეიტენანტის ზ. გულედანის მოხერხებულობა და ტაქტიანი საქციელი. მან შესძლო ხალხთან საერთო ენის გამონახვა, რამოდენიმე საათით მოაცილა ისინი რაიგანყოფილებას, რითაც შესაძლებელი გახდა განყოფილებიდან იარაღის (ნაწილის) გატანა. თუმცა საბოლოოდ თავდასხმა მა...

(დასასრული მე-2 გვ-ზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „...ხამს მოყვარე მოყვრისათვის“...

(დასასრული).

ინც ვერ აიცილეს ჯვარში თავიდან. წინააღმდეგობის გაწევით აზვირთებულმა ხალხმა შეაღწია განყოფილებაში, მილეწ-მოლეწეს იქაურობა, ამ შეტაკების დროს მძიმედ დაშავდნენ მილიციის თანამშრომლები — ფ. თოდუა და მ. არქანია. ენგურჰესის შს განყოფილებიდან, კერძოდ მათი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი გასამხედროებული დაცვის ტერიტორიიდან გაიტაცეს 116 ერთეული საბრძოლო იარაღი. დღეისათვის ამოღებულია 34 ერთეული. მთელი ძალები მობილიზებულია დარჩენილი იარაღის ამოსაღებად.

ახლა ალბათ ბევრად იოლია იმის წარმოდგენა, რაც 16 ივლისს ხდებოდა ქალაქ — ზუგდიდში. დიდხანს შემორჩება ისტორიას მომხდარი და განცდილი; აბობოქრებული ხალხი, შეიარაღებული ახალგაზრდებით დატვირთული მოჯირითე ავტოკოლონა, გამწარებული დედების, დების, მეუღლეების გულისმომკვლელი მოთქმა-გოდება, ათი ათასობით საშველად მოპყრობილი ცეცხლოვანი თვალები და დამუშტული ხელები. მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, რაც ლალიძგასთან მოკლული ერთ-ერთი ზუგდიდელის ცხედარი ჩამოასვენეს, ხალხის შეჩერება შეუძლებელი გახდა. ყველგან ერთი და იგივე ისმოდა; — იარაღი, იარაღი გვჭირდება მოძმეთა საშველად, ...მილიციას მივადგეთ, იარაღი იქ ინახება, ჩვენგან წაღებული იარაღი... ასე დაიწყო ის შემოტევა, ზუგდიდის შს განყოფილებებზე, რომლის შედეგი დღეს ასე გვაფიქრებს ყველას.

16 ივლისს ქალაქის ტერიტორიაზე მოხდა 9 თავდასხმა, რის შედეგად გატაცებულ იქნა 85 ერთეული საბრძოლო იარაღი, შს განყოფილებებიდან 59, ხოლო უშუალოდ შს ზუგდიდის საქალაქო განყოფილებიდან 17 ავტომატი აკს 74/უ.

რა გაკეთდა და რა კეთდება? 16 ივლისიდან შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი. ქ. ზუგდიდის შს განყოფილებაში მოთავსდა სამოქმედო შტაბი. მუშაობა წარიმართა ორი მიმართულებით, 5 სამძებრო ჯგუფი ამუშავდა იარაღის ამოღებაზე, გატარდა განმარტებითი სამუშაოები მოსახლეობას შორის. ამ ღონისძიებაში აქტიური პოზიცია დაიკავა პრესამ. თუ თვალს გადაავლებთ ამ პერიოდში გამოსული გაზეთ „მებრძოლის“ ფურცლებს, თვალში მოგხვდებათ არაერთი მიმართვის წერილი მოსახლეობისადმი, ნებაყოფლობით უკანონოდ შენახული ცეცხლსასროლი იარაღის ჩაბარებაზე. ახლახან შტაბის უფროსი შს მინისტრის მოადგილე, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორი ვ. შადური შეხვდა ზუგდიდის ქალაქისა და რაიონის აქტივს, შრომით კოლექტივებს, საზოგადოების წარმომადგენლებს, სწორედ ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის შემდეგ მოსახლეობამ დააბრუნა 8 სანადირო თოფი, 1 ტყვიამფრქვევი, 10 ერთეული საბრძოლო იარაღი, 5 ცალი სამოსწავლო ხელყუმბარა. პარტიული აქტივის ჩარევით ამოღებულია 3 ცალი სამოსწავლო ავტომატი. ამ პრინციპით მუშაობს ქალაქის მთელი აქტივი.

ამჟამად გატარებული ღონისძიებების შედეგად ამოღებულია 76 ერთეული კუთხვილ ლულიანი იარაღი, მათ შორის 2 საბრძოლო და 33 სამოსწავლო ავტომატი, 14 პისტოლეტი, 16 საბრძოლო და 4 სასწავლო კარაბინა. შს ზუგდიდის საქალაქო განყოფილებაში დაბრუნებულია 5 ავტომატი. არის მონაცემები 2 ერთეულის ადგილსამყოფელის შესახებ, ძიებაშია 42 დამნაშავე, რომლებიც გაიქცნენ ზუგდიდის საგამოძიებო იზოლატორიდან (№ 6). მუშაობა ამ მიმართულებით გრძელდება.

...და მიუხედავად მთელი ძალების მობილიზაციისა ოპერატიული მდგომარეობა ქ. ზუგდიდში რჩება რთული, რადგან შეიმჩნევა არაფორმალური გაერთიანებების ზეგავლენა მოსახლეობის ნაწილზე.

კონკრეტულ სიტუაციაში ალბათ ძნელია ვინმეს საქციელი შეაფასო მეტ-ნაკლები არგუმენტით — ერის სამსახურში, მაგრამ ერთი რამ უდაოა, საზოგადოებაც და სამართალიც საერთო ინტერესებს ემსახურება, ორივე მოყვარეები არიან ერთმანეთისათვის, მათი აზრი და სურვილი ერთმანეთის თანხვდომია და ამიტომ მიმაჩნია, რომ ამ კრიტიკულ სიტუაციაში გვერდიგვერდ დგომა, ხელის შეწყობა უფრო წაადგებოდა საქმეს.

ახლა მთავარია იარაღი დაუბრუნდეს ადგილსამყოფელს.

გ. მოსიძე,









# სამართალი დღევანდელი გადასახედიდან

(დასასრული).

დამლეულია ნაწილობრივ მუშაობის ბიუროკრატიული ფორმები, ყველაზე საინტერესო მათ საქმიანობაში მაინც კოლეგიალობაა, სამმართველოში სათანადო სიმაღლეზეა პირადი შემადგენლობის საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყო-



ფის საკითხი. წლის განმავლობაში ბინით კმაყოფილდება 6-7 თანამშრომელი. აქ ალბათ უსათუოდ უნდა აღინიშნოს ის კარგი ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც არსებობს ქალაქის პარტიული ხელმძღვანელობასა და შს სამმართველოს შორის.

როცა რ. თევზაძის ანგარიში მოვისმინეთ, ვიგრძენი, რომ ეს არ იყო მხოლოდ ლამაზი სიტყვები, ვინმეს საამებლად დაწერილი. ყოველ მოყვანილ არგუმენტს ახლდა დამაჯერებლობა. ქუთაისში ყოფნისას გვქონდა შესაძლებლობა გავსაუბრებოდით შს რაიგანყოფილებების რამოდენიმე წარმომადგენლებს, უბნის ინსპექტორებს, პირადი შემადგენლობის ნაწილს და მათგან მოგვესმინა გაკეთებულსა და მომხდარზე. ყველგან ვიგრძენით პასუხისმგებლობა, მინდობილი საქმისადმი სიყვარული და რაც ყველაზე უფრო მოსაწონია თანადგომა და ერთმანეთის გატანა.

გარდაქმნა, საჯაროობა და დემოკრატიზაცია ქუთაისის შს სამმართველოში სათანდო სიმაღლეზეა. მაგალითად გამოდგებოდა სამმართველოს ერთთვიური ორგანო „საზოგადოებრივი აზრი“, რომელიც წლების მანძილზე გამოდიოდა „შანთის“ სახელწოდებით. გაზეთი აშუქებს ქალაქში მომხდარ ყველა სახის სამართალ საწინააღმდეგო დანაშაულს. ყველაზე ნიშანდობლივი ამ ორგანოს გამოცემაში ისაა რომ, მას აქვს დადებითი შედეგი. ბევრს, მოხვედრილს „საზოგადოებრივი აზრის“ გვერდებზე აულია ხელი მორიგ დანაშაულზე. ბევრჯერ შეიცნო ადამიანმა თავისი თავი.

ადამიანი თავისი სატკივარითა და ყოველდღიური ცხოვრებით სამმართველოს ხელმძღვანელობის ფიქრისა და განსჯის საგანია. სწორედ საკითხის ასე დაყენებამ დასაბამი მისცა სამმართველოს ცხოვრებაში ბევრ საინეტრესო ღონისძიებას. ახლო მომავლიდან აქ დამკვიდრდება თვეში ერთხელ ღია კარის მოწყობის ტრადიცია, სადაც განიხილება ძირითადად წლების მანძილზე მიმდინარე ოჯახური და მეზობლური დავები, სხვადასხვა პიროვნული საკითხები. უკვე ერთ კვირაზე მეტია მიმდინარეობს დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის ოპერატიულად გამოვლენის, აღრიცხვისა და შრომითი მოწყობის ორთვიური. იმედია ქუთაისის სამართალდამცავი ორგანოები მომავალში ამ კუთხით წარმართავენ თავიანთ საქმიანობას.

ალბათ შორს წაგვიყვანდა იმ საქმიანობათა სრულად ჩამოთვლა, რაც გაკეთებულა სამმართველოში პირადი შემადგენლობისა და მისი ხელმძღვანელის უშუალო მოქმედებით, მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს ის პრობლემები, რომელიც შენიშვნის სახით გააკეთა თავის მოხსენებაში შს სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილემ ლ. გორგოძემ.

ქუთაისის შს სამმართველოს ცხოვრება უფრო ქმედითად უნდა აისახოს ადგილობრივი პრესის ფურცლებზე, საზოგადოებამ უნდა მიიღოს ინფორმაცია ქალაქში მიმდინარე მოვლენებზე, ყოველ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაზე. არც ქალაქში შექმნილი ოპერატიული მდგომარეობა აძლევს თვითდამშვიდების უფლებას სამართალდამცავ ორგანოებს. დანაშაულის ზრდის ტენდენცია ბოლო რვა თვის შედეგებით დამაფიქრებელია. სამომავლოდ უნდა გაიზარდოს შრომითი კოლექტივებიდან რეკომენდირებულ ახალგაზრდათა რაოდენობა. შს სისტემა სწორედ აქედან ელის ღირსეულ შევსებას.

მ. მარი.

ПО РУКАМ НЕЧИСТЫМ

# ОТ ХАЛАТНОСТИ ДО ПРЕСТУПЛЕНИЯ...

**Непростые задачи стоят сейчас перед сотрудниками органов внутренних дел в связи с осложнением оперативной обстановки в республике. Именно сейчас, как никогда, нужны полная мобилизованность, образцовое исполнение служебного долга. Однако, к сожалению, не все осознают в должной мере ответственность момента, допускают в работе халатность, а то и сами совершают преступления. Один из подобных печальных эпизодов произошел недавно в Цхинвальским РОВД.**

**НАЧАЛОСЬ** все с обращения в первых числах сентября к руководству министерства гр. Т. Майсурадзе. Из его рассказа следовало, что его несовершеннолетний сын Б. Майсурадзе находился в августе у родственников в селе Средви Цхинвальского района. Там же отдыхал несовершеннолетний Д. Ромелашвили, которым была совершена кража продуктов из рабочей столовой.

Как было установлено в дальнейшем в ходе служебной проверки, на место выезжали как оперативные работники, так и следователь Цхинвальского РОВД майор милиции А. Маргиев, который составил протокол осмотра места происшествия. Уже в самом начале были совершены грубые нарушения норм уголовно - процессуального законодательства и профессионально неграмотные действия со стороны сотрудников Цхинвальского РОВД, которым было поручено раскрытие дела. В объяснительной Д. Ромелашвили указывал, что краденое было укрыто в подсобном помещении дома родственников Б. Майсурадзе, которому было известно о краже. Однако сотрудники РОВД А. Маргиев и В. Кочиев, производя изъятие украденных продуктов из подсобного помещения дома, где проживает мать Т. Майсурадзе, в нарушении процессуальных правил, не пригласили владельцев дома, либо совершеннолетних членов их семьи. В отношении В. Майсурадзе не проводилось никаких оперативных мероприятий с целью выявления возможных соучастников преступления, либо его взрослых организаторов.

Все материалы дела были переданы с сопроводительным письмом А. Маргиеву и приняты последним в производство. Однако, несмотря на имеющиеся серьезные основания — проникновение через окно в столовую, кража продуктов на сумму 229 рублей — уголовное дело А. Маргиевым не было возбуждено сразу после осмотра места происшествия, что также является грубым нарушением. Более того, А. Маргиев, по словам Т. Майсурадзе, потребовал у него и у родителей Д. Ромелашвили 10 тысяч рублей за непривлечение несовершеннолетних к уголовной ответственности.

Столь тревожный сигнал не мог остаться без внимания. Руководством министерства из работников ряда служб была создана оперативная группа для проверки заявления. После проведения соответствующих мероприятий 8 сентября А. Маргиев был задержан вблизи здания Цхинвальского РОВД по подозрению в получении взятки, причем улики против него оказались весьма серьезными....

Проведенной затем служебной проверкой было установлено, что А. Маргиевым и раньше неоднократно нарушались нормы уголовно-процессуального законодательства, учетно - регистрационной дисциплины и требований регламентирующих документов. Подобные нарушения, в частности, допущены им при расследовании дела по факту отравления скота в с. Гери Цхинвальского района, непринятии своевременных мер по заявлению гр. К. Беришвили о присвоении заготовителем райкоопторга Г. Гогелашвили яблок на сумму 1.300 руб. и т. д., что также дискредитировало его как сотрудника милиции.

Все эти и другие выявленные факты свидетельствуют о нездоровой обстановке в коллективе РОВД, бесконтрольности за действиями подчиненных со стороны начальника отдела майора милиции Л. Гагиева, его заместителя майора милиции В. Гогидзе, исполнявшего с 5 сентября обязанности начальника РОВД. В настоящее время А. Маргиев с санкции прокуратуры республики взят под стражу, против него возбуждено уголовное дело, ведется расследование.

Таковы известные на сегодняшний день факты, еще раз доказывающие, что от халатности до преступления — один шаг. Не будем предвосхищать результаты расследования, которое должно выявить все детали дела и расставить все точки над «i». Отметим только, что в повышении эффективности работы ОВД, усилении борьбы с преступностью важнейшую роль играет борьба за чистоту наших рядов. И вести ее надо решительно и бескомпромиссно.

А. ЦАТУРОВ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## Преступник не ушел

В ДЕЖУРНУЮ часть Октябрьского РОВД поступило сообщение неизвестного об угоне автомашины «Москвич». Это было 2 часа ночи. Сразу же сообщение было передано заместителю начальника РОВД майору милиции Г. Кешелашвили, который в отсутствии начальника выполнял его функции. В считанные минуты была создана оперативная группа, которую возглавил сам Г. Кешелашвили. В нее вошли оперуполномоченный ОУР старший лейтенант милиции Т. Давиташвили, участковый инспектор ИДН лейтенант милиции З. Себуа и помощник дежурного сержант милиции Т. Хубаев.

Сотрудники милиции заметили, что по ул. Советской на большой скорости мчится машина марки «Москвич». Подозрение пало именно на эту машину. Угонщик не подчинился требовательному жесту сотрудников и, не останавливая машину, свернул в сторону улицы Кл. Цеткин. Бросив машину, он пытался бежать, но... оперативными и умелыми действиями был задержан и доставлен в РОВД. Им оказался житель Ленинского района города Тбилиси, неработающий и ранее судимый за угон автомобиля. Д. П. Против него возбуждено уголовное дело.

А. МАЛАЦИДЗЕ.

სწრაფად, ოპერატიულად

## იარაღი ბოროტმოქმედების ხელში

...რ. ჯ. ჩამოყალიბებული დამნაშავეა. მასზე ჩხოროწყუს რაიონში ვერ გეტყვიან კარგი კაციაო. 34 წლისა უკვე სამჯერაა ნასამართლევი, მათ შორის ყაჩაღობაზე. მისი ცხოვრება მხოლოდ „ავი საქმის" კეთებაა. ყოველი დანაშაული ჩადენილი ნებისმიერ მომენტში ტკივილის აღმძვრელია, მაგრამ უფრო მეტად გვაწუხებს ის, რომელიც ჩადენილია სწორედ მაშინ, როცა რესპუბლიკაში დაძაბული დღეები იყო, როცა ქვემო ქართლისა და აფხაზეთის მომხდარ ამბებს მტკივნეულად განიცდიდა სრულიად საქართველო, ერთი სიტყვით იმ დროს, როცა მართლა არ გვეცალა საქურდლად და საყაჩაღოდ რ. ჯ.-კი 1989 წლის 1 აგვისტოს მცირეყალიბიანი შაშხანის გამოყენებით თავს დაესხა მოქალაქე ე. ჩიქოვანს და წაართვა ავტომანქანა „მოსკვიჩი", რის შემდეგაც ის შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

როგორც გაირკვა მცირეყალიბიანი შაშხანა გატაცებული იყო მიმდინარე წლის 16 ივლისს შეიარაღებული ჯგუფების მიერ რაიონული დოსაავფის შენობაზე თავდასხმის დროს, რ. ჯ. თავდამსხმელებს შორის იმყოფებოდა.

დანაშაული „ცხელ კვალზე" იქნა აღკვეთილი ჩხოროწყუს რაიგანყოფილების უფროსის, მილიციის მაიორის ა. ტორჩინავას, სისხლის სამართლის სამძებროს უფროს ოპერრწმუნებულის, მილიციის მაიორის ზ. გულუას და უბნის ინსპექტორის, მილიციის უფროსი ლეიტენანტის გ. მორგოშიას მიერ.

მ. ლიბრაძე.

### ХРОНИКА

ПРИКАЗОМ министра внутренних дел Грузинской ССР:

— на должность заместителя начальника УБХСС МВД ГССР назначен **Беручашвили Гедеван Викторович;**

— заместитель начальника УИД МВД ГССР полковник милиции **Кавтарадзе Нугзар Константинович** назначен на должность заместителя начальника, он же начальник отдела индивидуальной профилактики Управления профилактики МВД ГССР;

— начальник ОУР отдела внутренних дел Ткварчельского райисполкома майор милиции **Лагвилава Валерий Писович** назначен на должность начальника Ткварчельского РОВД;

— майор милиции **Схнерели Мамука Асисоевич** назначен на должность заместителя начальника УИД МВД ГССР.

ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ

## წინდახედულების სასიკეთო შედეგი

**თეთრიწყაროს** რაიონში მრავალი ნასოფლარია. დღესდღეობით მხოლოდ ისტორიას შემოუნახავს მათი სახელები. ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ინიციატივით ბევრი ნასახლარი აღორძინდა, სიცოცხლე დაეტყო ნასოფლარებს.

ერთ-ერთი მათგანია სოფელი ჭივჭავი, რომელიც ამჟამად მშენებლობის სტადიაშია, მაგრამ რამდენიმე ოჯახი აქ უკვე ცხოვრობს. მათი გადმოსვლა მესტიისა და ლენტეხის რაიონებში მომხდარმა სტიქიურმა მოვლენამ დააჩქარა. ნელნელა ეგუება ქვემო ქართლის ბუნებას სვანი კაცი. ჯერ კიდევ ბევრი საქმეა მოსაგვარებელი სოფელში, განსაკუთრებით წყლის მომარაგების პრობლემა. მიმდინარეობს ხალხის ურთიერთგაცნობა, ადათწესების შესწავლა და სხვა. ერთი სიტყვით ხალხი ერთმანეთს ეჩვევა, ეს რა თქმა უნდა ერთბაშად ვერ მოხერხდება, ამიტომ შეიძლება მოხდეს გაუგებრობაც, ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა და შესაძლებელია კონფლიქტური სიტუაციების შექმნა, ინციდენტიც კი. მაგალითად ისეთი როგორიც მოხდა მიმდინარე წლის 2 აგვისტოს.

საქმის ვითარება ასეთი იყო. რამდენიმე წლის წინათ სოფელ სამშვილდოს მაცხოვრებლებმა არხი გაიყვანეს სოფელში ახლანდელ ჯერ კიდევ მშენებლობის სტადიაში მყოფ სოფელ ჭივჭავის ტერიტორიის გავლით, რაშიც მათ დიდი შრომის დახარჯვა მოუხდათ, მაგრამ ზოგიერთი ბოროტი ადამიანი ამ შრომას როგორც იტყვიან წყალში უყრიან — აზიანებენ არხის ონკანებს და წყალი დანიშნულების ადგილამდე ვეღარ აღწევს, ამის გამო სამშვილდოს მშრომლები იძულებული ხდებიან ხშირად შეამოწმონ არხი. ერთ-ერთი შემოწმების დროს, როდესაც არხის წყალი სამშვილდოსკენ ვეღარ მიდიოდა სოფლის მაცხოვრებლებმა დაინახეს, რომ ახალგაზრდა გოგო-ბიჭები არხში თამაშობდნენ. მათ ეგონათ, რომ ამ ბავშვებმა დააზიანეს არხი და ჩხუბი დაუწყეს მათ. შეშინებული ბავშვები გამოიქცნენ სახლში, სოფელ ჭივჭავში და მშობლებს უთხრეს, რომ ორი კაცი საცემრად მოგვდევსო. ამ გაუგებრობამ გამოიწვია უკმაყოფილება სვან და სომეხ მოსახლეობას შორის, მაგრამ როდესაც მილიციის მუშაკები ჩაერთვნენ საქმეში მოდავენი დაწყნარდნენ. გადაწყდა მოწყობილიყო ორივე მხარის წარმომადგენელთა შეხვედრა და მოლაპარაკება, რომელიც სოფელ ჭივჭავის ახლად აშენებულ სკოლაში ჩატარდა. შეხვედრაზე ორივე სოფელმა პატივცემული ხალხი წარმოადგინა: სამშვილდოელები — რ. სარქისიანი, შ. გალუსტიანი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. არუთინიანი და სხვები. დელეგაციას ხელმძღვანელობდა მეურნეობის დირექტორი ზ. მანჯავიძე. ჭივჭაველების მხრიდან — სკოლის დირექტორი რ. შავრეშიანი, გ. იოსელიანი, ჰ. ხაბულიანი, კ. ხაბულიანი და სხვები. შს რაიგანყოფილებიდან შეხვედრას ესწრებოდნენ ამ წერილის ავტორი და უბნის ინსპექტორი ვ. კობაიძე.

უხუცესთა შეხვედრამ გვიჩვენა, რომ ორივე მხარეს სურთ კარგი მეგობრული და მეზობლური ურთიერთობა ჰქონდეთ, ხოლო მომხდარი ინციდენტი გაუგებრობის მიზეზი იყო და სხვა არაფერი, თუმცა მას შეიძლება გამეწვავებინა ვითარება და ერთამორის შუღლის საბაბიც კი მიეღო.

შეხვედრის თითოეულმა მონაწილემ კარგად შეიგნო ეს, დაგმო ყოველგვარი შუღლი ნებისმიერ ერებს შორის და მოუწოდა ყველას სიმშვიდისა და ერთობისაკენ. ორი სოფლის ახალისა და ძველის მაცხოვრებლების, უბრალო მშრომელი ხალხის სურვილია — კეთილი შრომა, და მშვიდობა, რაც დაამტკიცა შეხვედრის დასასრულს გულითადმა ღიმილმა და მეგობრულმა ხელის ჩამორთმევამ.

**რ. რამინაშვილი.**

**თეთრიწყაროს შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის მაიორი.**

**რედაქციისაგან:** როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტიდან ჩანს, რომ არა თეთრიწყაროს შს რაიგანყოფილების ხელმძღვანელობის დროული და საზრიანი ჩარევა ამ თითქოსდა მცირე გაუგებრობას შეიძლებოდა კონფლიქტი და სავალალო შედეგიც კი მოჰყოლოდა.

დღეს ერთამორის ურთიერთობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. აქ თავისი კომპეტენტური სიტყვა უნდა თქვას საქართველოს შს სამინისტრომ, თითოეულმა განყოფილებამ და ცალკეულმა თანამშრომელმაც კი. განსაკუთრებით ეს ეხება იმ რეგიონებს, რომლებიც ჭარბად არიან დასახლებული სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებით. საქმის ვითარება მოითხოვს მათთან აქტიურ განმარტებით და პროფილაქტიკურ მუშაობას, რათა დაცული იქნეს ყოველი ეროვნების წარმომადგენლის კანონიერი უფლებები.

### მადლობის სტრიქონები

**უსაზღვროა** ჩვენი დიდი მწუხარება იმ საშინელი ტრაგედიის გამო, რომელიც 9 აპრილს თბილისში დატრიალდა. დაიღვარა უდანაშაულო ადამიანების სისხლი. ხალხი სამართალს ითხოვს.

....ზოგიერთი მილიციელის უმსგავსო მოქმედებამ ბევრჯერ დამაკარგვინა შეხედულება მილიციაზე, მაგრამ ისინი ერთეულები ყოფილან... დღეს დავინახე ჩემი მილიციის ნამდვილი სახე, მათი სპეტაკი სული, თავისი სამშობლოსა და ხალხის ის სიყვარული, რომელიც მათ გამოიჩინეს იმ გაჭირვების ჟამს...

გთხოვთ გადასცეთ ჩვენს მილიციას დიდი მადლობა მათ მიერ გამოვლენილი დიდი გამბედაობისათვის. ჩვენ ყოველთვის თქვენთან ვართ... მიიღეთ ყაზბეგის მაღალი მთებიდან ჩვენი მხურვალე სალამი და თანადგომა.

შრომის ვეტერანთა სახელით
ვ. ჯამარაული.
ყაზბეგი.

### Только факты

▲ 25 сентября в г. Гудаута ранее судимый мойщик Гудаутского СТО Н. Г., взломав дверь, проник в квартиру отдыхающего Н. Б., откуда совершил кражу 30 руб. и носильных вещей на сумму 700 руб. Н. Г. задержан, краденое изъято.

▲ 25 сентября сотрудниками ЛОВД ст. Сухуми в поезде Ереван — Ростов задержан Ч. О., житель г. Ленинакана, который совершил кражу магнитофона японского производства у К. Г. Краденое изъято.

▲ 26 сентября сотрудниками ОБХСС Калининского района г. Тбилиси был уличен Д. К., ранее судимый, который у нижней станции фуникулера сбывал американские доллары. При задержании у него изъято 60 американских долларов, советские деньги в сумме 2.900 руб. и разные приобретенные у иностранцев вещи на сумму 100 руб.

▲ 26 сентября сотрудниками Руставского ГОВД и ЛОВД ст. Тбилиси задержан С. А., рабочий «Грузсантехмонтажа», у которого изъято 12 г гашиша и 3,8 г марихуаны.

### БУДНИ МИЛИЦИИ







**НА СНИМКАХ:** в новом здании министерства внутренних дел республики, которое расположено по улице Дидихейванской, на днях справили новоселье некоторые службы и отделы центрального аппарата; более одиннадцати лет работает автоинспектором в Горийском ГОВД старший лейтенант милиции Т. Абазашвили — специалист III класса; один из ветеранов Боржомской профессиональной пожарной части Г. Датунашвили честно и добросовестно трудится на специальной машине 20 лет и в любую минуту готов выехать на пожар.

### ИЗ НАШЕЙ ПОЧТЫ

**Уважаемая редакция!**

**НЕДАВНО** меня свела судьба с двумя сотрудниками милиции — младшими сержантами милиции З. Микелашвили и А. Бичиашвили. Эти два скромных человека, будучи на дежурстве, совершили благородный поступок.

Дело в том, что я водитель автомашины «Запорожец». 29 августа в р-не ЗМК Заводского р-на меня остановили сотрудники ППС. Убедившись в правильности документов, они разрешили продолжить путь. Однако, при выходе из машины, как выяснилось позднее, я обронила золотые ручные часы с браслетом.

Прибыв на работу, я сразу же обнаружила отсутствие часов. Внутри машины их тоже не было. Оказалось, Залико и Арсен увидели мои часы уже на мостовой. Тут же с их стороны была предпринята попытка по рации связаться с постами для остановки «Запорожца». Не обнаружив меня на трассе, они после дежурства разыскали мою школу и вручили мне часы.

Я через Вашу газету хочу передать слова глубокой благодарности этим двум замечательным молодым людям.

**С. ВАСИЛЬЕВА,**
**педагог 82-й Тбилисской средней школы.**

## Соревнуются мастера рукопашного боя

**НА ДНЯХ** в Тбилиси в спорткомплексе «Динамо» завершился лично - командный чемпионат Грузсовета «Динамо» по рукопашному бою, в котором впервые приняли участие сотрудники органов внутренних дел. На ковер вышли 60 мастеров рукопашного боя из Аджарии, Юго-Осетии, гг. Кутаиси, Рустави, Зугдиди, центрального аппарата МВД ГССР, УВД Тбилгорисполкома, сборных ТФМВШМ МВД СССР и КГБ Грузинской ССР, которые разыграли награды первенства в шести весовых категориях.

В общекомандном первенстве первое место заняли представители УВД Тбилгорисполкома, второе—коллектив физической культуры КГБ, третье — спортсмены сборной Аджарии.

Победителями в весовых категориях стали: до 65 кг — I место—А. Батаев (Рустави), II место — Д. Куратишвили (УВД Тбилгорисполкома), III место—В. Филимонов (КФК); до 70 кг—Д. Лапачи (УВД Юго-Осетии), Ю. Соков (КФК), Т. Давиташвили (УВД Тбилгорисполкома); до 75 кг — С. Самарджиев (ОПО УВД Тбилгорисполкома), В. Носов (КФК), Д. Сабанадзе (ТФМВШМ МВД СССР); до 80 кг—Д. Хуцишвили (УВД Тбилгорисполкома), П. Ханзанишвили (КФК), В. Боев (КФК); до 85 кг А. Яковлев (КФК), А. Махарадзе (МВД Аджарии), Н. Ахалкаци (УВД Тбилгорисполкома); свыше 85 кг — С. Гусейнов (УПО МВД ГССР), А. Каракин (КФК), З. Логуа (ППС УВД Тбилгорисполкома).

Как отметил главный судья соревнований старший инспектор Грузсовета «Динамо» капитан милиции В. Ераносян, эти соревнования стали хорошей проверкой готовности спортсменов перед чемпионатом Центрального Совета «Динамо», который стартует 2 октября в городе Бресте.

**А. МАЛАЯНЦ.**

## რწმუნებულთა კრებაზე

**ბაიმართა** რესპუბლიკის შს სამინისტროს მუშა-მოსამსახურეთა მებაღეობის ამხანაგობის რწმუნებულთა კრება.

ამხანაგობის გამგეობის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა გამგეობის თავმჯდომარე ა. ჩაჩავა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამხანაგობაში გაერთიანებულია 1425-მდე ოჯახი. საანგარიშო პერიოდში მოწვეული იქნა 25 სხდომა, შემუშავებული იქნა არჩეულ (45) რწმუნებულთა ფუნქციური მოვალეობის გეგმა. მომხსენებელმა აღნიშნა ისიც, რომ საანგარიშო პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა ამხანაგობის წევრების შრომისა და დასვენების პირობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა ზოგიერთი მებაღე წლობით არ ამუშავებს მიწას, ამიტომ გამგეობა იძულებული იყო 75 მათგანი გაერიცხა ამხანაგობიდან.

კრებაზე მოისმინეს სარევიზიო კომისიის ანგარიში. კრების მონაწილეებს გააცნეს წესდებაში შეტანილი ზოგიერთი ცვლილება.

კრებამ გამგეობის მიერ გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და თავმჯდომარედ კვლავ აირჩია ა. ჩაჩავა.

## ЛЕЙЛА МЕСХИ — ДВУКРАТНАЯ ЧЕМПИОНКА СССР

**РАДОСТНУЮ** весть мы получили по телефону от нашего корреспондента—динамовца арбитра всесоюзной категории А. Малаянца из Адлера, где завершился чемпионат СССР по теннису. Представительница нашей республики Лейла Месхи к титулу победительницы зимнего первенства СССР впервые в истории грузинского тенниса добавила и титул чемпионки СССР, завоевав две золотые медали в одиночном и парном разрядах. Дипломами за отличное судейство была отмечена и тбилисская бригада коллеги судей во главе с арбитрами всесоюзной категории Г. Гарибашвили, Д. Кереселидзе и А. Малаянцем.

2 октября Л. Месхи вместе с тбилисскими арбитрами персонально приглашена для участия в большом международном турнире из серии «Гран-при» (впервые проводимого в СССР), с призовым фондом 100 тысяч долларов. Пожелаем ей успехов!



ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА

## ЗНАКОМЬТЕСЬ, „ПРАВИТЕЛЬСТВЕННЫЙ ВЕСТНИК"

ЕСЛИ вы хотите быть в курсе повседневной работы советского правительства, знать как готовятся и выполняются его решения, если вы стремитесь принимать самое непосредственное участие в обсуждении экономических и социальных вопросов перестройки, оказывать личное влияние на работу государственных и правительственных органов — читайте и выписывайте новое еженедельное издание — «Правительственный Вестник» — орган Совета Министров СССР.

«Правительственный Вестник» — это своеобразная трибуна прямого диалога правительства и народа. Это знание подробностей рассмотрения важнейших вопросов экономической реформы, знакомство с различными позициями и мнениями членов правительства страны, работников аппарата Совета Министров СССР, министерств и ведомств местных советских и хозяйственных руководителей, возможность лучше понять их точки зрения, оценить стиль и методы работы.

«Правительственный Вестник»—это широкое участие читателей в обсуждении важнейших законопроектов, это живой обмен мнениями с ведущими учеными, видными хозяйственниками и специалистами, талантливыми рабочими, колхозниками и кооператорами, это рейды и экспресс-опросы, изучение общественного мнения трудовых коллективов и различных групп населения.

«Правительственный Вестник» — это «Клуб молодых экономистов», участником которого на страницах газеты может стать каждый, у кого есть яркая идея, смелая мысль, интересное предложение, словом, все, что может пополнить теоретический и практический арсенал радикальной экономической реформы.

«Правительственный Вестник» — это очные и заочные читательские конференции, круглые столы и дискуссии с участием руководителей центральных экономических органов, министерств и ведомств, ассоциаций и концернов, представителей администрации и Советов трудовых коллективов предприятий и организаций. Это развернутые комментарии к важнейшим государственным решениям и данным статистики. Это «Заочная школа управленца», помогающая становлению советских менеджеров. Это разнообразная интересная информация в материалах рубрик: «Страницы истории», «Как выполняется постановление?», «Министерский телетайп», «Почта правительства: резонанс», «Назначения: страницы биографии и первые интервью», «Управление — зарубежный опыт» и других.

«Правительственный Вестник» — это издание для всех, кто хочет больше узнать и активнее участвовать в государственном управлении, отстаивая на практике позиции перестройки, демократизации и гласности.

«Правительственный Вестник» — это открытый канал для диалога всего населения с правительством страны.

В 1990 году «Правительственный Вестник» будет выходить еженедельно. Стоимость годовой подписки — 5 руб. 16 коп., на 6 месяцев — 2 руб. 58 коп., на 3 месяца — 1 руб. 29 коп. Индекс — 50105.

Напоминаем, в розницу поступает ограниченное количество тиража «Правительственного Вестника», а вот подписка на него принимается с любого месяца и без ограничений.

**რეზოს** გადაწყვეტილება ურყევი იყო. რაც უფრო მეტად ეხვეწებოდა ელისო დარჩენას და ჩანაფიქრზე ხელის აღებას, მით უფრო ჯიუტად პასუხობდა. რეზო წასასვლელად მოემზადა. კარებთან რომ მივიდა ელისოს სასოწარკვეთილი ხმა შემოესმა — რეზო არ წახვიდე რეზო!

რეზო შეჩერდა, ელისოსაკენ ნახევრად მობრუნდა, წამით თვალი შეავლო, შემდეგ ისევ შეტრიალდა და კარებთან მივიდა, გაალო და ელისოს განწირული ხმაც შემოესმა:

— რეზო არ წახვიდე და ისეთ საიდუმლოს გეტყვი, რომ თვითონ აღარ მოგინდება წასვლა!

— ეს ყველაფერი ს[illegible] ლად უთხრა ელისომ რეზოს.

ელისოს ნათქვამმა რეზო დააფიქრა. ცოტა ხანი გაუნძრევლად იჯდა, ერთ ადგილს ჩაშტერებოდა, შემდეგ გონს მოეგო და ელისოს გაამეორებინა მისი მონაყოლის ზოგიერთი დეტალი, მერე ჩაფიქრდა და თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა:

— ხოო! ცუდი აზრი არ არის, — თქვა რეზომ სიტყვის გაგრძელებით და დამარცვლით.

— მე ახლა წავალ და შაბათს 16 იანვარს მოვალ შენთან, მოვალ და შეგატყობინებ ყველაფერს, მე ჩვეულებრივ, როგორც ყოველთვის, ისე მოვალ შენთან, — უთხრა რეზომ, მივიდა ელისოსთან, გადაეხვია, გადაჰკოცნა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

**ჯ. გოგია**

## „თანამედროვე ატა"

### (დოკუმენტური რომანი)

რეზო გაჩერდა.

— რაო ქალო რა მითხარი? — გაკვირვებული ტონით ჰკითხა რეზომ და მოტრიალდა ოთახისკენ.

— რეზო, მე შენ საიდუმლოს გეტყვი, ისეთ საიდუმლოს, რომ აღარ მოგინდება წასვლა. გაუმეორა კივილით ნათქვამი ელისომ — ოღონდ არ დამტოვო, — დაუმატა უკვე დაბალ და შედარებით დინჯ ტონზე.

რეზო ელისოსაკენ წამოვიდა, ჩამოჯდა დივანზე, ელისოსთან ახლოს და ისევ გაკვირვებული ხმით ჰკითხა ელისოს.

— რას მეტყვი ელი, რას? საიდუმლოს?

— ხო, ხო, საიდუმლოს, — ჯიუტად უთხრა ელისომ და დაუმატა — და აი ნახავ თუ ჭკუაში არ დაგიჯდება.

რეზომ პალტოს ღილები შეიხსნა და კარგად მოკალათდა დივანზე.

— აბა ერთი რა უნდა მითხრა, ან რით უნდა დამაბა ისე, რომ წასვლის ხალისი დავკარგო? — ისევ ირონიაგარეული ხმით ჰკითხა რეზომ.

— რეზო მე სერიოზულად გელაპარაკები, არ ვხუმრობ, — უთხრა ელისომ, თუ დამიჯერებ და არ დამტოვებ, მე, მე,... უჭირდა თქმა ელისოს მე, შენ გაგამდიდრებ, — უთხრა და მკლავში ჩააფრინდა რეზოს, წამოიწია და პირდაპირ სახეში ჩახედა მას.

უკანასკნელი სიტყვის გაგონებაზე რეზოს სიცილი წასკდა და გულიანად იცინა. ელისოს რეზოს სიცილზე ნერვები ეშლებოდა, რაც უფრო მეტად იცინოდა რეზო, მით უფრო მეტად ღიზიანდებოდა ელისო. ბოლოს რეზომ ძლივს მოითქვა სული და სიცილისაგან გულამომჯდარმა ჰკითხა:

— რაო ელი, როგორ და რით აპირებ ჩემს გამდიდრებას? ჩქარა მითხარი, თორემ მოთმინება დავკარგე, — უთხრა რეზომ და ისევ სიცილი წასკდა და კვლავ დიდხანს იცინა.

— მომისმინე რეზო, — დაიწყო ელისომ და მაგრად მოჰქაჩა რეზოს მკლავზე, — დღეს 14 იანვარია, ხვალ კი 15. ხვალ 15 იანვარს შოთა ბალაშვილს — ვახტანგის მეწყვილეს ტაქსზე, შენ იცი ვინც არის შოთა ბალაშვილი, შემნახველი სალაროდან ფული გამოაქვს მანქანისა და ავეჯის საყიდლად. გარდა ამისა, ამ ბოლოს დროს მას დიდი ხარჯები მოუვიდა დედის გარდაცვალებასთან დაკავშირებით და უნდა რომ ვალი გადაიხადოს, მოკლედ, სულ სალაროდან გამოაქვს 24 ათასი მანეთი. ეს ფული შოთა ბალაშვილის ოჯახში იქნება ორშაბათამდე ე. ი 16 იანვრამდე, შენ იცი შოთა ბალაშვილი სადაც ცხოვრობს, მე შენთვის მიჩვენებია ის სახლი. ფული რკინის „სეიფში" იქნება შენახული, რომელშიც ბალაშვილების ოჯახის ოქროულობაც არის ჩადებული. ეს „სეიფი" დევს თვითონ და თავისი გოგო რომ იძინებენ იმ ოთახში. „სეიფი" პატარაა, დიდი არ გეგონოს, ყუთივითაა, ზევიდან ილება და იხურება, თან ბოქლომიც ადევს, ასე რომ თუ ივაჟკაცებ, ის ფული შენი იქნება, — სული მოითქვა ელისომ და გააგრძელა — შოთა ბალაშვილი მუშაობს 15 და 17 იანვარს. 17 იანვარი კვირაა. დილით ის ყოველთვის 5 საათზე გადის სახლიდან,

...სიჩუმე ჩამოვარდა, როგორც ჩანდა ელისო ჯაველიშვილმა მოყოლა დაამთავრა, ყანჩაველმა ჰკითხა:

— შემდეგ?

ელისო ჯაველიშვილი დუმდა.

— შემდეგ? — იკითხა ისევ ყანჩაველმა.

— შემდეგ არაფერი არ ვიცი,— უპასუხა ჯაველიშვილმა, [illegible] ასწია და თვალებში შეხედა ყანჩაველს.

— რეზო ქლენტი რომ დაპირდათ შაბათს საღამოს მოვალო, მოვიდა თუ არა? — თვალები მოჭუტა და ისე ჰკითხა ყანჩაველმა.

— მოვიდა როგორ არა, მოვიდა 16 იანვარს საღამოს, როგორც დამპირდა, ცოტა ხანი ვიყავით ერთად და წავიდა, წასვლისას კი მითხრა:

„— ელი ხვალ ყველაფერს გავაკეთებ, რომ ბალაშვილების ფული დავისაკუთრო" — ეს სთქვა, გამოემშვიდობა და წავიდა. სანამ გავიდოდა ჩვენ შევთანხმდით რომ თუ მშვიდობა იქნებოდა, ათი დღის შემდეგ შევხვდებოდით ერთმანეთს, ე. ი. 27 იანვარს დილის 11 საათზე, სასტუმრო „კოლხეთთან".

ელისო ჯაველიშვილმა თავი ისევ ჩაღუნა და სიჩუმე ჩამოვარდა.

ყანჩაველი უცდიდა, რადგან ეგონა, რომ ელისო ჯაველიშვილი გააგრძელებდა მოყოლას, მაგრამ ბოლოს დარწმუნდა, რომ ელისო აღარაფრის თქმას აღარ აპირებდა...

მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში გაგზავნილ შეკითხვებზე პირველი შეტყობინებები მოვიდა უკვე 28 იანვარს საღამოს. იტყობინებოდნენ ერევნიდან, ბაქოდან, ტაშკენტიდან, რომ ასეთი თითების ანაბეჭდის მქონე პიროვნება მათთან რაიმე დანაშაულის ჩადენაში არ იმხილებოდა.

29 იანვარს დილით როდესაც ტერენტი სულხანიშვილი სამსახურში მოვიდა, მორიგემ დაახვედრა შეტყობინებები. ერთ-ერთ შეტყობინებაში იტყობინებოდნენ, რომ ასეთი თითის ანაბეჭდის მქონე პიროვნება მათ მიერ იძებნებოდა უკვე ორი წელიწადია, რომელსაც ჩადენილი აქვს ბინის ქურდობა. სარატოვის ერთი მისამართიდან წაღებული აქვს დაახლოებით 12 ათასი მანეთის საქონელი, ძირითადად ოქროულობა.

როდესაც სულხანიშვილი ამ შეტყობინებებს ეცნობოდა, მორიგემ მას კიდევ ერთი შეტყობინება შეუტანა, რომელსაც სტალინგრადელი კოლეგები უგზავნიდნენ, სადაც ეწერა: ასეთი თითების ანაბეჭდების პატრონი არის კამო ვაგანის ძე ოგანეზოვი, იგივე არშაკ კამოს ძე ონანოვი, მისებრთა წრეში „კორშულას" ზედმეტი სახელით ცნობილი. დაბადებულია 1926 წელს ქ. ერევანში, ნასამართლევია ორჯერ —1941 წელს ალმა-ატაში ჩადენილი აქვს ხულიგნობა, რისთვისაც მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით. განთავისუფლდა ერთი წლის შემდეგ; 1943 წელს იქვე ალმა-ატაში ჩადენილი აქვს ხულიგნობა.

მალე ამ ცნობების მიღების შემდეგ ქ. ოგანეზოვი დააკავეს.

დასასრული. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი". №21-29.

**ამჟამად ავტორი მუშაობს რომანის გაგრძელებაზე, რომლის დამთავრების შემდეგ ჩვენი გაზეთის მკითხველებს შევთავაზებთ ნაწარმოების დასასრულს.**

ინდექსი 66639

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 96-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები:

რედაქტორი ა. კოზალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით სიგაზეთო კორპუსში, ხიზა რაულის 29.

უე — 00370